ხაშურის მოამბე

№19 21 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2015 წელი

კომფორტული გარემო ბავშვებს

სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი შიდა ქართლის მხარეში ზურაბ რუსიშვილი ხაშურის მეხუთე საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებს გაეცნო და პედაგოგებს შეხვდა. გუბერნატორს მასპინძლობას უწევდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი.

საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მალე საბავშვო ბაღი აღსაზრდელებს ახალ, კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში უმასპინძლებს.

ფოლად ბულ-ბულ ოღლის ქართული გენი

თითქოს ტრადიციად გვექცა, მოვყვეთ ამბები, რომელიც ჩვენი რაიონის კავშირებს ასახავს სხვა ქვეყნის ხალხებთან, და ამ ურთიერთობებს, ისტორიული მეგობრობის სახელი დავარქვათ. სოფელ ოსიაურს, ვეზირიშვილების შთამომავლები ქალბატონი დოდო ვეზირიშვილი და აზერბაიჯანის სახალხო მომღერალი, კომპოზიტორი და დიპლომატი ფოლად ბულ-ბულ ოღლი ესტუმრნენ. მათთვის, ვინც ამ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლების კავშირმა დააბნია, ვეზირიშვილების საგვარეულოს ისტორიას გადავავლოთ თვალი, რომლის არსებობა ისტორიაში ჯერ კიდევ ერეკლე II დროიდანაა ცნობილი, როდესაც "პატარა კახმა", გიორგი ვეზირიშვილს ბრძოლაში გაწეული მამაცობისათვის, მადლიერების ნიშნად თავადობა უბოძა და საკუთრებაში გადასცა სოფელი ოსიაური. მას შემდეგ, ვეზირიშვილების გვარი, თავისი არსებობის მანძილზე, მრავალ ნიჭიერ და გულანთებულ მამულიშვილს ითვლის, რომლებმაც სახელი გაითქვეს და თავისი კვალი დატოვეს ქართულ კულტურულ თუ დიპლომატიურ ისტორიაში.

ფოლად ბულ-ბულ ოღლის ქართული ფესვები, მისი ქართველი ბებიის, ვეზირიშვილების ქალიდან მოდის, რომელმაც დიდი სიყვარული და ნათელი მოგონებები დატოვა აზერბაიჯანელ შვილიშვილზე. მოენახულებინა თავისი წინაპრების საგვარეულო სასახლე, გახდა ოსიაურში მისი სტუმრობის მიზეზი. ვეზირიშვილების, ერთდროს კულტურის კერა, პირობითად, მხოლოდ ისტორიული სასახლის სახელს ინარჩუნებს დღეს, დანგრეულია და აღსადგენია შენობის მთლიანი ნაწილი, რომლის რეაბილიტაციაში ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად, ბატონი ფოლადიც მიიღებს მონაწილეობას.

(გაგრძელება III გვერდზე)

აკაკის იუბილე ხაშურში

17 ოქტომბერს, ხაშურმა საქართველოს აკადემიურ საზოგადოებას უმასპინძლა, რათა კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ და მიეგოთ პატივი აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ღვაწლისა და დამსახურებებისათვის საქართველოს წინაშე. წლევანდელი წელი, საიუბილეოა და აკაკის წლადაა გამოცხადებული. მურად მთვარელიძის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელშეწყობით, ხაშურშიც მასშტაბურად აღინიშნა აკაკის იუბილე. ღონისძიებები რამდენიმე ეტაპად იყოფოდა. პირველი ნაწილი კონფერენციას "აკაკი და საქართველო"-ს დაეთმო. სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეულმა 32-მა პროფესორმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ძირითად თემას აკაკის ცხოვრება და შემოქმედება წარმოადგენდა. გიორგი გოგოლაშვილი –"სულიკო" უკვდავი სული საქართველოსი, ზურაბ ცუცქირიძე–„აკაკი წერეთელი და ქართული სკოლა," მიხეილ ქავთარია–„ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკი წერეთლის ხელნაწერები", მურად მთვარელიძე–"მგზავრი მეორე გზისა"–„აკაკი წერეთელი და მისი დროის მმართველი ინტელიგენცია", თამაზ ლაცაბიძე–„ქვიშხეთელი აბაშიძეები"–აკაკი წერეთლის წინაპრები–მცირე ჩამონათვალია მომხსენებლებისა, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაგვახსენეს აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების უკვდავება.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, ხაშურის ცენტრში გახსნეს აკაკი წერეთლის ბიუსტი, რომლის შექმნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის პავლე ლაცაბიძის ფინანსური მხრდაჭერით განხორციელდა. დამსწრე საზოგადოებამ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაინაცვლა.

მურად მთვარელიძე (პროფესორი, ღონისძიების ორგანიზატორი):– წლევანდელი წელიწადი არის აკაკის წელი, შესრულდა დაბადებიდან 175, ხოლო გარდაცვალების 100 წლისთავი. იუნესკომაც გამოაცხადა, რომ ეს წელიწადი მასშტაბურად აღნიშნულიყო. აკაკი მართლაც იყო პატარა საქართველო, თავის თავში ის აერთიანებდა მთელ საქართველოს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს დღე ხაშურშიც აღნიშნულიყო ღირსეულად. დავგეგმეთ რამდენიმე სახის ღონისძიება, ეს იყო კონფერენცია "აკაკი და საქართველო", გავხსენით ბიუსტი, ძალიან საინტერესო გამოფენა "აკაკი და ხაშურის საზოგადოება" და ეს ყველაფერი დაასრულა ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ "ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო". ხაშური, გარკვეულწილად უკავშირდება აკაკის სახელს, რადგან ხშირად იმყოფებოდა ხაშურში. რასაკვირველია, აკაკი მთელ საქართველოს ეკუთვნის და ყველა რეგიონმა და ქალაქმა უნდა აღნიშნოს განსაკუთრებულად. რაც შეეხება კონფერენციას, დღეს აქ მოიყარეს თავი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებისა და სამუზეუმო დარგის მუშაკებმა, ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარებმა. ყველაფერი უკავშირდებოდა აკაკის. ჩვენ მოვისმინეთ 32 მოხსენება, საქართველოს ყველა რეგიონიდან და ეს ყველაფერი ასახვას ჰპოვებს ერთ კრებულში, რომელსაც წლის ბოლოს გამოვცემთ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა ფილოლოგის, პროფესორის მიხეილ ქავთარიას კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მდიდარი ბიბლიოთეკა, უნიკალური სპეციალიზებული ფილოლოგიური წიგნადი ფონდით. ბატონი მიხეილის ღვაწლის დაფასების კიდევ ერთი დადასტურება საპატიო ხაშურელის ტიტულია, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებელმა გადასცა ხაშურობის დღესასწაულზე.

მიხეილ ქავთარია (ფილოლოგი, პროფესორი): – პირველ რიგში დიდი მადლობა ასეთი ღონისძიების ჩატარებისათვის, რომელიც აკაკის იუბილეს მიუძღვნეს და მთელი ქართველი საზოგადოება მონაწილეობდა. ასევე, დიდი მადლობა მინდა, გამოვუცხადო მუზეუმს და მუზეუმის დირექტორს, რომ გააკეთა

(გაგრძელება III გვერდზე)

.ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2015 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 9 285.2 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 2 561,7 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 1 235,0 ათასი ლარი.

2015 წლის ცხრა თვის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის №1, 13 იანვრის №2, 2 თებერვლის №7, 2 მარტის №9, 6 აპრილის №13, 4 მაისის №15, 25 მაისის №20, 11 ივნისის №22, 23 ივნისის №23, 6 ივლისის №24, 12 აგვისტოს №37 და 7 სექტემბრის №39 დადგენილებების საფუძველზე, 2015 წლის 1 ოქტომბრისათვის, დაზუსტებული მონაცემებით ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 15 946,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 6 660,8 ათასი ლარით აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს. 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შემოსულობების საკასო შესრულებამ 9 307,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 100,1%-ს შეადგენს, ხოლო შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 84,5%-ით, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 94,0%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი- 52,8%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 83,4%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 24,1%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა - 110,2%-ით შესრულდა, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი - 151,2%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 108,0%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 109,5%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 72,8%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 110,8%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 113,3%-ით, ხოლო შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან შესრულდა – 109,9%-ით.

2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 70,5%-ს (6 559,5 ათასი ლარს), „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გათვალისწინებულია 6 246,7 ათასი ლარი, ხოლო მიღებულია 4 685,4 ათასი ლარი, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 229,0 ათასი ლარი, მიღებულია – 171,9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან გამოყოფილია 2 860,5 ათასი ლარი, მიღებულია 1 360,4 ათასი ლარი, ათვისებულია - 1 351,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულების საფუძველზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გამოყოფილია 855.2 ათასი ლარი, მიღებულია 341,8 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია 331,0 ათასი ლარი.

2015 წლის ცხრა თვის მონაცემებით გადასახდელების საკასო შესრულებამ 8 600,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 91,5%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ცხრა თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 97,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 17,3%), თავდაცვა - 98,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,9%), საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 100,0% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 3,9%), ეკონომიკური საქმიანობა - 82,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 28,5%), გარემოს დაცვა - 96,3% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 8,0%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 87,1% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 7,8%), ჯანმრთელობის დაცვა - 97,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 90,7% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,6%), განათლება - 100,0% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,5%), სოციალური დაცვა - 99,0% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 8,7%).

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად გადანაწილდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 100,0%-ით (დაგეგმილთან შედარებით 0,1 ათასი ლარით ნაკლები), საქონელი და მომსახურების ხარჯები - 84,3%-ით (დაგეგმილთან შედარებით 132,7 ათასი ლარით ნაკლები), სუბსიდიები - 99,9%-ით (დაგეგმილთან შედარებით 1,4 ათასი ლარით ნაკლები), გრანტები - 100,0%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 98,7%-ით (დაგეგმილთან შედარებით 7,4 ათასი ლარით ნაკლები), სხვა ხარჯები - 67,9%-ით (დაგეგმილთან შედარებით 127,5 ათასი ლარით ნაკლები), არაფინანსური აქტივების ზრდა - 83,8%-ით (დაგეგმილთან შედარებით 524,4 ათასი ლარით ნაკლები), ვალდებულების კლება - 84,2%-ით (დაგეგმილთან შედარებით 0,6 ათასი ლარით ნაკლები).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტის საფუძველზე. ცხრა თვის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 2,9 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრებ, აწ გარდაცვლილ თამაზ სუხიაშვილის ოჯახს, ასევე, დაფინანსდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრები ლიკა გაგნიძის საზღვარგარეთ მკურნალობისათვის დედა-შვილ ეკა და ლიკა გაგნიძეებისა და ხაშურში სულიაშვილის ქუჩა №19-ში მცხოვრები ირაკლი გელაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობისათვის დედა-შვილის, ირაკლი გელაშვილისა და ნათია ხარაზიშვილის, საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯები.

ამრიგად, ცხრა თვის მონაცემებით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

პარალელები ევროპასთან

8 ოქტომბერს, ხაშურის საჯარო ბიბლიოთეკაში, ახალგაზრდული თვითმართველობის წევრის, პროექტ „საქართველოს მოხალისის" ხაშურის

კოორდინატორის გიორგი ჩუბინიძის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს კონსტიტუციური მოწყობა და პარალელები ევროპასთან." ლექციას კითხულობდა პოლიტიკის მკვლევარი თორნიკე ზურაბაშვილი, რომელიც 2013-14 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში.

ლექციაზე დასწრება თავისუფალი იყო. დამსწრეებს ძირითადათ ახალგაზრდები შეადგენდნენ, მათშორის სკოლის მოსწავლეები. ლექციის ხელმძღვანელის ეს გამოცდილება დაეხმარა ახალგაზრდებს კომპეტენტურ პირის ხედვა მოესმინათ რიგ პოლიტიკურ საკითხებში. ლექციაზე საუბარი შეეხო სახელმწიფოს მმართველობის ფორმებსა და ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას, პარალელები გაევლო ევროპის ქვეყნებთანაც. საუბარი კითხვა–პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

ინიციატივა თავის მხრივ ძალიან კარგია რაიონისთვის, რადგან ახალგაზრდებს ეხმარება საბაზისო ცოდნის ამაღლებასა და ინფორმირებულობის დონის გაზრდაში. მათ ასეთ საკითხებში ჩართვა და სხვისი გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი აზრის ჩამოყალიბებას.

თორნიკე ზურაბაშვილი: „ლექცია საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჩემის მხრივ მოხარული ვარ, ჩემი გამოცდილების მათთან გაზიარებით. ნასიამოვნები დავრჩი ახალგაზრდების ასეთი ჩართულობით, მისასალმებელია, მათი ასეთი დაინტერესება მსგავსი თემების მიმართ."

(დასასრული)

თუმცა მის ვიზიტს, სასიამოვნო დატვირთვაც ჰქონდა. ოსიაურის სკოლაში სახელდახელოდ მომზადებლი პროგრამით დახვდნენ საპატიო სტუმარს. იყო ვიოლინო, "ოქროს ფარი", "ციცინათელა", ქართული ღვინო და

ფოლად ბულ-ბულ ოღლის ქართული გენი

ტკბილეული-რაც შეიძლება მონატრებად ექცეს საქართველოზე შეყვარებულ ადამიანს. საჩუქრად ვეზირიშვილების საგვარეულო გერბიც გადასცეს.

ფოლად ბულ-ბულ ოღლი:–საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა ჩემთვის, ბებია ქართველი იყო, ბავშვობაში ხშირად ჩამოვდიოდი ხაშურში. დღეს, მე ვიმყოფები ადგილზე, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. დიდი მადლობა ასეთი თბილი დახვედრისათვის. ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, არაჩვეულებრივი კონცერტი იყო, კარგი მუსიკა, ქართული ცეკვა. ძალიან კარგად მიმიღეს და მიმასპინძლეს ქართველებმა. მეც, ჩემი მხრივ, დახმარებას გავუწევ ქართულ მხარეს, რომ ვეზირიშვილების ეს ისტორიული სასახლე აღდგენილ იქნას და გახდეს ორ ქვეყანას შორის მეგობრობის სიმბოლო.

ვაჟა შუბითიძე (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე):– ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები სულ უფრო და უფრო ვითარდება და ღრმავდება, მათ შორის ისეთი ადამიანების წყალობით, როგორიც ბატონი ფოლადია,გამოჩენილი კომპოზიტორი, მომღერალი, დიპლომატი, საქართველოს მეგობარი. მას თბილისობის დღესასწაულზე მიანიჭეს თბილისის საპატიო მოქალაქეობა. ის ჩამოვიდა თავის ისტორიული სამშობლოში, ნახა სასახლის ნანგრევები და დაგვპირდა მის აღდგენაში დახმარებას. აქ გაიხსნება მომავალში ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი, სადაც ამ ორი ქვეყნის ხალხი თავის ურთიერთთანადგომას და მეგობრობას დაადასტურებს სხვადასხვა ღონისძიებებით. დიდი მადლობა ბატონ ფოლადს ჩამობრძანებისათვის და მომავალშიც მოვიწვევთ, როდესაც გაიხსნება სასახლე და კულტურის ცენტრი.

ლეილა ალიევა (აზერბაიჯანის კულტურის მუზეუმის დირექტორი) :– მოგეხსენებათ, საქართველოს და აზერბაიჯანის მეგობრობა და დამოკიდებულებები ისტორიულია. ვეზირიშვილის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ქალბატონმა დოდო ვეზირიშვილმა, მომართა ჩვენ კულტურის ცენტრს, რათა გვეშუამდგომლა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, რომ გადაგვერჩინა ვეზირიშვილების ისტორიული სასახლე დანგრევისაგან, ჩვენი წერილის საფუძველზე, ამ შენობას მიენიჭა უძრავი კულტურის ძეგლის სტატუსი. და დღეს მოგვეცა საშუალება, ბატონ ფოლადთან ერთად, მოგვენახულებინა ეს ისტორიული სასახლე, იმედი გვაქვს, რომ მოხდება მისი აღდგენა, რომელიც მეგობრობის კიდევ ერთი დასტური იქნება ორ ქვეყანას შორის.

თამარ გაგლოშვილი (ოსიაურის საჯარო სკოლის დირექტორი):– სულ რამდენიმე დღის წინ გავიგეთ ამ სასიამოვნო სტუმრობის შესახებ, მოხარული ვარ, რომ ოსიაურის სკოლას უწევს მასპინძლობა ოსიაურის ღირსეული ადამიანების, ვეზირიშვილების მემკვიდრეების. ეს სტუმრობა არის გაგრძელება ქართულ–აზერბაიჯანული მეგობრობის

და ჩვენ სოფელში დანგრევის პირას მისული სასახლის გადარჩენის.

საოცარია, რომ მთელი სტუმარ-მასპინძლობის მანძილზე, თეთრი მტრედი სერავდა ჩვენს თავზე ჰორიზონტს, რომელიც(შეიძლება ჩემი სენტიმენტალური ბუნების ბრალია), ჰგავდა სიმბოლოს ორ ქვეყანას შორის მეგობრული მომავლის გაგრძელებისას.

თ. ჯავახიშვილი

(დასასრული)

ასეთი კაბინეტი. ეს არის წიგნები, რომლებიც თბილისში, ჩემს სამუშაო ოთახში იყო, ამ წიგნებით არა მარტო მე, არამედ მთელი ინსტიტუტი სარგებლობდა, მაგრამ მე ჩავთვალე, რომ ხაშური გახლავთ ის ცენტრი, სადაც უნდა შეიქმნას მთელი შიდა ქართლისათვის სამეცნიერო ცენტრი, ამისათვის საჭირო იყო სპეციალიზებული ლიტერატურა. სწორედ აქ წარმოდგენი-

აკაკის იუბილე ხაშურში

ლი წიგნები გახლავთ ფილოლოგიური და ისტორიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურა, რომელსაც დღეს და ხვალ მკითხველი არ ეყოლება, მაგრამ დადგება დრო, აქ გაჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც დააინტერესებთ. აქ არის წიგნები, რომლებსაც თბილისშიც ვერ შეხვდებით. თუმცა, აქ არაა

სრულად წარმოდგენილი, სულ მალე გაიზრდება მათი რიცხვი და ხაშურელ მკითხველს ექნება ერთ-ერთი საუკეთესო ფილოლოგიური ბიბლიოთეკა.

მურად მთვარელიძემ გახსნა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი გამოფენა "აკაკი და ხაშურის საზოგადოება" და საოცარი პათოსით მოგვიყვა ფაქტები აკაკის კავშირზე ხაშურთან. აკაკის მართლაც ძალიან ჰყვარებია ქართლის ეს უმშვენიერესი კუთხე და ხშირად სტუმრობდა თურმე მას, ძალიან ბევრი მაშინდელი ინტელიგენციის და ოჯახის ახლო მეგობარი და გულშემატკივარი ყოფილა. გამოფენა გამდიდრებული იყო ფოტომასალებით, აკაკის ლექსებით.

საღამოს დასკვნითი აკორდი "ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო", ისეთივე ჟღერადი და მრავალფეროვანი იყო, როგორც აკაკის მუსიკალური პოეზია. ძირითადად, აკაკის ლექსებზე

შექმნილი სიმღერები აამღერეს ხაშურელმა ახალგაზრდებმა. რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ აკაკი ისევ აკაკია, ორი საუკუნის შემდეგაც და მისი შემოქმედება კიდევ საუკუნეებს და თაობებს დაიტევს.

თ. ჯავახიშვილი

ჩვენს ეპარქიას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი შეემატა

სურამისა და ხაშურის ეპარქიას კიდევ ერთი მონასტერი შეემატა – კოდისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში უკვე ლოცვა აღევლინება. მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, მამა სერაფიმეს თაოსნობით და მრევლის შეწევნით დღეს აქ უკვე მამათა მონასტერია და ბერთა საძმოს ლოცვა ზეცას აღევლინება. სხვათაშორის, იქვე, მახლობლად, მეორე მონასტრის მშენებლობაც იწყება, რომელიც მაცხოვრის სახელობის იქნება. ღვთის შეწევნით, იმედია, მისი მშენებლობაც ჩქარა დასრულდება და ამ ულამაზეს ადგილას, რომლის მშვენებაც კოდისწყაროს ტბაა, მძლავრი სავანე შეიქმნება.

ბეგლარ ციცქიშვილი

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

რეაგირება ოპერატიულად

ამ რამდენიმე დღის წინ, გაზეთი „ხაშურის მოამბე“ რუბრიკაში – „გადავაქციოთ ხაშური სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად“– იუწყებოდა, რომ რუსთაველის ქუჩის ბოლოს წყალსაწრეტი არხები ორივე მხარეს ამოვსებულია ნაგვით, რის გამოც წვიმების დროს დგება წყლის ტბორები და იქმნება ანტისანიტარიის კერა.

გაზეთის გამოსვლის მეორე დღესვე, წყალსაწრეტი არხი ქუჩის ორივე მხარეს, გაწმენდილი იყო საფუძვლიანად, გზასავალი მიეცა წყალს.

აი, სწორედ ეს არის ხაშურლობა, საკუთარი სამსახურისა და პრესის პატივისცემა. როგორც გვითხრეს, ეს სამუშაო აიიპ „ხაშურსერვისს“ შეუსრულებია.

თუ ყველა სამსახური და ხაშურელი ასე მიიტანს გულთან საერთო საქმეს, ასეთი პასუხისმგებლობით მიუდგებიან საერთო სატკივარს, ჩათვალეთ, რომ ხაშური მართლა გადაიქცევა სანიმუშო სისუფთავის ქალაქად . ამას კი ერთობლივი ძალისხმევით აუცილებლად უნდა მივაღწიოთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ ტალახიანი ხაშური, რომ ვიამაყოთ ჩვენი ქალაქითა და ხაშურლობით.

რ. მარგველაშვილი

დეპუტატები ხვდებიან ამომრჩევლებს

ცხრამუხა

საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი, ფრაქცია "ხაშურის აღორძინების" თავმჯდომარე და სოფელ ცხრამუხის დეპუტატი პავლე ლაცაბიძე საკუთარ ამომრჩეველს შეხვდა და ყოველწლიური ანგარიში წარუდგინა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე, საკრებულოს წევრები და ცხრამუხის მოსახლეობა. ბატონი პავლე მოსახლეობას გაწეული სამუშაოებზე, მიმდინარე პროგრამებზე და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. წამოიჭრა ისეთი საკითხები, როგორიცაა სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. ტაშისკრის მაგისტრალური არხის უფროსმა, ვახტანგ ლაცაბიძემ, მოსახლეობასთან ერთად, პრობლემების გადაჭრის ოპტიმალურ გზებზე ისაუბრა, რაც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის. საუბარი შეეხო, როგორც დასრულებულ, ასევე, განსახორციელებელ პროექტებს, მათ შორის საფეხბურთო მოედანზე გასახდელისა და სველი წერტილების მოწყობას, ამბულატორიის გაზიფიცირებას, გარე განათებას, სოფლის გზის მოწესრიგებას, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას, სასაფლაოს პრობლემას. მოხდა სოფლის ცენტრში მდებარე შენობის დემონტაჟი, რომლის ადგილას დაგეგმილია დედათა და ბავშვთა სკვერისა და თანამედროვე ბიბლიოთეკის გაკეთება, რომელიც აღჭურვილი იქნება კომპიუტერული სისტემით და მასზე წვდომა ყველა მსურველისთვის იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობის პრობლემებიც მოისმინეს, უპასუხეს მათ შეკითხვებს და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ცოცხნარა

საკრებულოს წევრმა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა ხარშილაძემ მოხსენება გააკეთა მის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვან საკითხებზე. აღნიშნა, რომ შარშან ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი

ბიუჯეტის დაფინანსებით, დაიწყო და წელს დასრულდება ისეთი მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო პროექტის განხორციელება, როგორიცაა აქამდე არარსებული წყლის სათავე რეზერვუარის მშენებლობა და დაქსელვა, ყველა პრობლემა მოგვარდება ეტაპობრივად. საჭიროა, მოსახლეობამაც გამოიჩინოს აქტიურობა და სოფლის მაჟორიტარსა თუ გამგებლის წარმომადგენელს საკითხის გადაჭრას მოთხოვოს.

ამომრჩევლებმა დასვეს კითხვები, მათ შორის კრიტიკულიც. საკრებულოს თავმჯდომარემ ვაჟა შუბითიძემ აღნიშნა, რომ წელს მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, 170-მდე პროექტი განხორციელდა. თანდათან პრობლემები შემცირდება. მომავალი წლის პრიორიტეტების დაგეგმვაში საკრებულოს წევრებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მოსახლეობამაც.

ფლევი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ერთწლიანი მუშაობის ანგარიშების მოსმენა გრძელდება. მორიგი შეხვედრა ფლევის მაჟორიტარულ ოლქში საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა ილია კაპ-

ანაძემ გამართა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე უძღვებოდა. ანგარიშის ჩაბარების შემდეგ თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ფლევსა და ტკოცაში მიმდინარე და დასრულებული პროექტები დაათვალიერეს. ესტუმრნენ ფლევის სკოლას, რომელიც, ახალი შენობის აშენებამდე, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაშია განთავსებული და ტკოცის სკოლას, რომელშიც ახლადგახსნილი მუზეუმი მოინახულეს.

ქვიშხეთი

ქვიშხეთის მაჟორიტარული ოლქის ამომრჩეველს ანგარიში საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების" თავმჯდომარე არჩილ ჩაჩანიძემ ჩააბარა. შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებმა ღიად ისაუბრეს პრობლემებზე, რომლებიც სოფელს აწუხებს. საკრებულოს წევრმა მათ

მიმდინარე წელს განსახორციელებელ და სამომავლო პროექტებზე ესაუბრა, მათ შორის საბავშვო ბაღზე, რომლის მშენებლობაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა და 2016 წლის ბოლომდე დასრულდება. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ის ადგილიც დაათვალიერეს, სადაც ბაგა-ბაღი აშენდება.

არდავიწყება მოყვრისა, აროდეს მოგვცემს ზიანსა



80

შენმა დაბადების 80 წლისთავმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ადამიანის სულის უკვდავების ჭეშმარიტებაში და მანამ ცოცხლობს შენი შთამომავალი გიორგი ჩადუნელი და ზეციური საქართველო, ამირან ჩადუნელის სახელიც უკვდავი და ნათელი შარავანდედით მოსილი იქნება.

დიახ, ამირან ჩადუნელის სახელი კიდევ დიდხანს გაუნათებს გზას ისეთ ადამიანებს, როგორიც თვითონ ამირანი ბრძანდებოდა.

მ. გრიგალაშვილი

მართლაც დასაფასებელი კაცი

სასიხარულო და მისაბაძია, როცა ადამიანები, შრომითი კოლექტივები თავის ღირსეულ, გამორჩეულ, გამოჩენილ შვილებს, მათ ოჯახებს, არ ივიწყებენ და ღირსეულ პატივსა და სიყვარულს მიაგებენ. ამის ერთ-ერთი მაგალითი ხაშურის მინის ტარის ყოფილი დირექტორი ამირან ჩადუნელია, რომელსაც ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ ყოფილი თანამშრომლები, მშობლიური სათივისა და ქვიშხეთის მცხოვრებლები, ბორჯომლები და ხაშურლები. ვფიქრობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს. დროა, ერთხელ და სამუდამოდ გავისიგრძეგანოთ ასეთი ღონისძიებების დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და ადგილი ადამიანის სულიერ-ზნეობრივად ჩამოყალიბების პროცესში.

ბატონი ამირანი მართლაც საქმემან მისმა წარმოაჩინა. მის სიცოცხლეში მისი საქმიანობა, პირადული ღირსებები შეიძლება ისე არ იყო წარმოჩენილ-დაფასებული, როგორც ეკუთვნოდა, მაგრამ დრო მაინც თავისას ამბობს, ადამიანებს არ ავიწყდებათ ნიჭიერი და უანგარო, ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებული ადამიანები, რომელთა შორის აუცილებლად იგულისხმება ბატონი ამირანი. ყოველივე ამას კარგად გრძნობდა თვით ამირანი, რომელიც თავის ულამაზეს და ღრმაშინაარსიან ლექსებში გულწრფელად გვამცნობს თავისი გულის ხვაშიადს:

„როგორ იქნება ამ მთებს, ტიტანებს,
რომ არ დავაჩნდე, როგორც ბწკარედი,
ანდა ამბავი არ მოგიტანონ,
სახრჩობელაზე როგორ ავედი".

ეს სიტყვები ისეთი კაცის გულიდან არის ამოფრქვეული, რომელმაც კარგად იცის რას აკეთებს, ვის ემსახურება, რომ ყველაფერი არ იქნება დავიწყებულ-დაფარული, მაგრამ მთავარი ის რწმენაა, რომლითაც ის ემსახურება სამშობლოს, ხალხს.

პოეტი ამირან ჩადუნელი კარგად გრძნობს, „როგორ დაღვარა მჩქეფარე სისხლი", რათა ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი. მისი გზამკვლევია ძლევამოსილი, სწორედ მას ზენაარს ეფიცება პოეტი, რომ „შენი გზით ვივლიო", სწორედ ზენაარის გზით იარა მან და ამიტომ დარჩა მისი გავლილი ბილიკები სხივმოსილი.

და აი, ღაღადისი, რომელსაც ამირანის, როგორც პოეტის, უპირველესი მრწამსი და ამ ქვეყნად ყოფნის მიზანია:

„და სადაც მეტყვი, იქ დავეცემი,
იქ დავეცემი თმოგვთან, დიდგორთან,
რათა წინაპართ სულს ვუდარაჯო"...

დიახ, ამირანი ის ღირსეული პიროვნებაა, რომელსაც უფლება აქვს ჩვენს დიდებულ წინაპართა სულებს უდარაჯოს.

„ვარ შენი ვაზის ერთი ჭიგო და
კრწანისის ველის ერთი ყაყაჩო,
როგორ იქნება არაგვს არ ავყვე,
არ დავეყარო კალმახს წინწკლებად"

მართლაც, დიდებული ნათქვამია და ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ამირანის, როგორც ნაღდი ქართველის, გულის მურაზი, ოცნება, ნიჭი.

P.S. ვისურვებდი, იქნება სამომავლოდ მაინც გამოინახოს პიროვნება, რომელიც საშუალებას მოგვცემს წიგნის სახით გამოვამზეუროთ ბატონ ამირან ჩადუნელის შესანიშნავი და გულშიჩამწვდომი პოეზია.

კაცი, რომელიც გზას ახლაც გვინათებს

ამირან ჩადუნელი... ამ სახელითა და გვარით ჩემში ასოცირდება ბუმბერაზი თვისებების პიროვნება. ჩემი ცხოვრების გზაზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ შემხვედრია მისი ტოლი პროფესიონალი. იგი იყო უდიდესი მასშტაბის ინჟინერი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მინის წარმოება იყო დარგი, რომელიც ბუნებრივად იყო შესისხლხორცებული მის არსებასთან. ამ რთულ დარგთან, მის წარმოებასთან ყოველდღიურ ჭიდილში ვლინდებოდა მისი ღრმა ცოდნა, უანგარობა, სიმამაცე, მეგობრული დამოკიდებულება კოლექტივთან; თვითონ გულწრფელს, უყვარდა სიმართლე და მართალი კაცი ყველაფერს ჭეშმარიტების საზომით ზომავდა და მისი გადაწყვეტილებები მუდამ სწორი, რაციონალური და დამაჯერებელი იყო. მახსენდება ბოლო პერიოდი ქარხნის ცხოვრებიდან, როცა ქარხანაში შეფერხებით მოგვეწოდებოდა ენერგეტიკული რესურსები, განსაკუთრებით ელ-ენერგია. ეს იწვევდა პროდუქციის რაოდენობრივ შემცირებას დროში, რაც უარყოფითად აისახებოდა ერთეულ პროდუქციაზე და გვქონდა სერიოზული გადახარჯვები. ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოები ვერ დავარწმუნეთ გადახარჯვების სუბიექტური მიზეზების არარსებობაში, ამიტომ საკითხი რესპუბლიკის ცენტრალურმა ორგანოებმა განიხილეს. აქ გამოჩნდა ბატონი ამირანის ღრმა პროფესიული ცოდნა, რამაც ქარხნის კოლექტივის უდანაშაულობა დამაჯერებელი გახადა. ამ პერიოდში ურთულესი იყო ქარხნის მუშაობის შენარჩუნება, რაც მისი პირადი თვისებებით ხდებოდა შესაძლებელი. მასთან მუშაობა საინტერესო იყო, მაგრამ ამავე დროს საპასუხისმგებლოც. ეს ვაჟკაცური დარგი, როგორც ბევრ სხვა სპეციალისტს, მეც, მან შემაყვარა და დღეს თუ ვინმეს უნდა ქარხნის მუშაობა ოჯახებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მათ რიგებში ჩემს თავსაც მოვიაზრებ.

ამირან ჩადუნელი პიროვნულად მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობის ნიმუში გახლდათ, დიდთან-დიდი და პატარასთან-პატარა, ერთი ყველაზე თავმდაბალი ადამიანი იყო, ამიტომაცაა ალბათ, რომ რაც დრო გადის, უფრო მაღლდება და სრულყოფილად წარმოჩინდება ჩვენი ცხოვრების უკიდეგანო სივრცეში.

ის ისევე, როგორც ყველა გამორჩეული მამულიშვილი, მხოლოდ მამულისთვის, ადამიანებისთვის, სხვისთვის იწვოდა თავის საწარმოში, პირადულისთვის კი თითქმის არასდროს ეცალა.

შეიძლება ითქვას, მას სიცოცხლე მინის წარმოებისთვის უნდოდა – ადამიანების კეთილდღეობისთვის უნდოდა!

შენმა 80-მა წლისთავმა კიდევ ერთხელ შეგვძრა და სული შთაგვბერა, რწმენით აღგვავსო, რითაც შენ იყავ ყოველთვის სავსე – მადლობა ამისთვის, ბატონო ამირან!

თქვენი ოჯახი, მეგობრები, საზოგადოება, არასოდეს დაივიწყებს თქვენს სიკეთით სავსე ცხოვრებას, რომელიც სამაგალითო იყო და უნდა გაგრძელდეს თაობებში.

ომარ

უბადლო პროფესიონალი

ამირან ჩადუნელს იმ დროიდან ვიცნობდი, როცა მასწავლებლები ვიყავით. ჩვენ ერთმანეთს ძირითადად მასწავლებლის სახლში გამართულ ღონისძიებებზე ვხვდებოდით მასწავლებლებთან ერთად. ამ დაწესებულებაში, მასწავლებელთა თაოსნობით, ხშირად ეწყობოდა საინტერესო ღონისძიებები, მათ შორის კითხვა-პასუხის საღამოები, ამ ღონისძიებებში სოფლის სკოლებიდან ამირანის გარდა არავინ მონაწილეობდა. და ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან იგი სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა ნიჭიერებით, აქტიურობით, ქიმიის ღრმა ცოდნით და შრომისუნარიანობით. იგივე უნარ-თვისებები გამოამჟღავნა ამირანმა ინსტიტუტში, აქაც თითით საჩვენებელი სტუდენტი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა მე და ამირანი ისევ ერთად შეგვყარა: იგი მინისტარის ქარხნის ჯერ მთავარი ტექნოლოგი, შემდეგ კი – მთავარი ინჟინერი იყო. როგორც ამ ქარხნის დირექტორი, მე უაღრესად კმაყოფილი ვიყავი, მისი ასეთი პროფესიონალიზმით, რომ ყოველმხრივ დადებითი პიროვნება მედგა გვერდში. ამირანს რა თანამდებობაზეც არ უნდა ემუშავა, ყველგან გამორჩეული და წარმატებული იყო. ამას განსაკუთრებით ქარხნის შრომითი კოლექტივი გრძნობდა და განსაკუთრებით აფასებდა მის პირად ღირსებებს.

იგი ქარხნის სული და გული იყო. მას ქარხნის მაჯისცემა, როგორც ექიმს ავადმყოფის მაჯა, ისე ეჭირა ხელში და ესმოდა და იცოდა, სად რა ტკიოდა და როდის და სად იყო საჭირო ექიმის ხელი, ამის გამო, მას ყველა დიდ პატივს სცემდა. განსაკუთრებით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მთლიანად ქარხნის შრომითი ბირთვი.

მიუხედავად იმისა, რომ მას სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, თავისი ცოდნით და გამოცდილებით ბევრ ჩემს ნაცნობ ამ დარგის მეცნიერს არ ჩამოუვარდებოდა არაფრით. იგი ყოველთვის წარმატებით წყვეტდა ქარხნის წინაშე მდგარ ურთულეს საკითხებს, რაშიც მას დარგის ღრმა ცოდნა და მეცნიერული ალღო უწყობდა ხელს. მის მიერ შემოთავაზებული წინადადებები და მეცნიერული მიგნებები მაშინ, იმ პერიოდში, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა, მაგრამ შემდგომ პერიოდში, როცა რესპუბლიკის გარედან ნედლეულის შემოზიდვა შეიზღუდა, მისი ბევრი ინიციატივა და ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა. კერძოდ, 8 კომპონენტის მაგივრად უმტკივნეულოდ გადავიდა წარმოება 4 კომპონენტზე. მათ შორის 3 ადგილობრივი იყო, მხოლოდ ერთი შემოდიოდა ბულგარეთიდან.

გარდა პროფესიონალიზმისა და სხვა ბევრი ადამიანური ღირებულებებისა, ამირანი იყო ჭეშმარიტი პოეტი, პოეზიის მოტრფიალე და დამფუძნებელი. იგი არა მარტო ტექნიკური პერსონა, არამედ ადამიანის სულის ინჟინერი იყო, წერდა ძალიან პატრიოტულ და ულამაზეს ლექსებს.

იგი თანაბრად საყვარელი და მიღებული პიროვნება იყო, როგორც მინისტარის ქარხნის შრომითი კოლექტივისთვის, სამძო-სამეგობროსთვის, ისე მთლიანად ხაშურლებისთვისაც.

ნიკოლოზ ვაშაკიძე

ასეთი ადამიანები დავიწყებას არასოდეს მიეცემიან

(მოგონებები ამირან ჩადუნელზე)

ამ ქვეყნად ყველა უნდა იბადებოდეს სიკეთის, პატიოსნებისა და ადამიანობისათვის; ჩვენი ამირანი ყველაფერი ამის განსახიერება იყო. მე, როგორც ყოფილ პარტიულ მუშაკს, რაიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, საქმიანი ურთიერთობა მქონდა მასთან. უპირველეს ყოვლისა, იგი გამოირჩეოდა თავისი კულტურით, ადამიანური ყურადღებით და, რაც კიდევ უფრო მთავარია, თავისი პროფესიონალიზმით, სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იყო მასთან ყოველი შეხვედრა, საუბარი; ამირანთან განსაკუთრებით გამიღრმავდა ურთიერთობა სამეურნეო საქმიანობის პერიოდში, კერძოდ, კი შპს „ხაშურწყალში" მუშაობისას. მე არასოდეს მიმიღია მისგან უარი წყალსადენისთვის საჭირო მასალებით დასახმარებლად და სხვადასხვა დეტალების გაჩარხვა-დამზადებისთვის; მას, ჩემი აზრით, ვერ წარმოედგინა უარის თქმა, რადგან, როგორც გამოცდილმა სამეურნეო მუშაკმა, კარგად იცოდა, რომ ჩვენი მწირი ტექნიკური საშუალებების მქონე საწარმოსთვის, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქალაქის და დაბა სურამის თითოეულ ოჯახთან, დახმარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა; მე მასთან ყოველი შეხვედრისას ვგრძნობდი, რომ მის სიტყვასა და გამოცდილებას დიდი წონა ჰქონდა მინისტარის ქარხნის შრომით კოლექტივში, მას დიდი ტრამვა ჰქონდა ვაჟიშვილის ტრაგიკულად დაღუპვით და სწორედ ეს ტრამვა გახდა, ჩემი აზრით, მიზეზი მისი უდროოდ ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლისა. ამირანი თავისი ადამიანური თვისებებით ალამაზებდა მინისტარის ქარხნის შრომით კოლექტივს, ჩვენს ქალაქსა და მშობლიურ სოფელ-სათივეს. ამირანის მსგავსი პიროვნებები დავიწყებას არასოდეს მიეცემიან, მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მას პირადად ვიცნობდი და საქმიანი ურთიერთობა მქონდა მასთან

ომარი ხაჯაველიძე

ოჯახი, რომელიც ქართველობას შეგაყვარებს

სტუმართმოყვარეობა ოდითგანვე მოგვსდევდა ქართველ ერს. სტუმრის ჩინებული მასპინძლობა სისხლში ჰქონდა გამჯდარი ქართველ კაცს და ეს სწორედ ერთ-ერთი ის თვისებაა, რომლითაც გვიცნობენ და აღფრთოვანებულია ყველა. ჩვენი ისტორიული წარსული მოწმობს, რომ მოყვარეს მოყვრულად ვხვდებოდით და მტერს მტრულად, ტრადიციას ვაგრძელებთ დღესაც, ეს გაგრძელდება მანამ ქართული, ეროვნული სული იარსებებს.

არსებობენ ადამიანები, რომელთანაც ურთიერთობა გადაშლილ წიგნს ჰგავს, მხოლოდ უნდა წაიკითხო. ისინი გულს მოგცემენ, ჩაგიხუტებენ, თავისიანდ გაგრძნობინებენ თავს. მათთან გატარებული თუნდაც ერთი დღე, შესაძლებლობას მოგცემს სამყაროს სხვა თვალით შეხედო და სრულებით დარწმუნდე, რომ ის თბილი, პატივისცემითა და მოკრძალებით განმსჭვალული ურთიერთობები ისევ არსებობს, ისევ ცოცხლობს ჩვენში. ხვდები მათ და აანალიზებ, რომ სწორედ მათი დამსახურებაა შენი ფეხზე მყარად დგომა, ქართველობით, რომ იწონებ თავს – ესეც მათი დამსახურებაა. სწორედ, ასეთი ადამიანი აღმოჩნდა ბონდო ჩადუნელი, რომელსაც „ლესიაობაზე" შევხვდით. უკრაინული დელეგატებისადმი მიძღვნილ კონცერტზე ჯერ საქართველოს წარმტაცი პეიზაჟების სურათები დაურიგა სტუმრებს, ხოლო ლესია უკრაინკას სახლ- მუზეუმთან ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, თუ როგორ სტუმართმოყვარედ დახვდა უკრაინულ დელეგაციას. მათ მანქანის უკანა საბარგულიდან რჩეული ყურძნის მტევნებსა და ყანწებით ღვინოს სთავაზობდა. ისინიც უყოყმანოდ თანხმდებოდნენ მასპინძლის შემოთავაზებას და ფიალებიც ელვის სისწრაფით გადადიოდა ხელიდან ხელში. ღვინის დაშაჭნიკების პატივი ჩვენც გხვდა წილად. ბატონ ბონდოს მეუღლეც თან ახლდა, ისინი მთელი სულით და გულით გვთავაზობდნენ საკუთარ ნობათს, ჩვენ კი ნელ-ნელა უფრო ახლოს ვეცნობიდით მათ. სიმართლე გითხრათ, მათი იქ ყოფნა საერთო პროგრამის შემადგენელი ნაწილი გვეგონა, მაგრამ სრულებითაც არ ყოფილა ასე. ისინი საკუთარი სურვილით იყვნენ იქ და ქართული სტუმართმოყვარეობის უმაღლეს დემონსტრირებას ახდენდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი ჩუმათელეთიდან ყოფილან და მთელ ზაფხულს სწორედ იქ ატარებენ, ხშირად, მაისიდან ოქტომბრის ბოლომდეც კი რჩებიან ხოლმე. დამშვიდობებისას ჩვენც დაგვირიგა სურათები და ჩვენი საკონტაქტო ინფორმაციაც ჩაიწერა, იმ დაპირებით, რომ აუცილებლად დაგვპატიჟებდა თავისთან სახლში. ასეთი ტკბილი ადამიანის გაცნობის შემდეგ ჩვენც გაგვიჩნდა სურვილი ვსტუმრებოდით. თუმცა, ყველასაგან მოულოდნელად, ის თავად გვესტუმრა რედაქციაში და თავისთან მიგვიწვია. ჩვენც დიდი სიხარულით დავთანხმდით და მასთან, შინისაკენ გავემართეთ. გზაში თავის შესახებ გვესაუბრა. მოგვიყვა, რომ მუშაობს თბილისის აეროპორტში, ჰყავს სამი შვილი, ორი გოგო და ერთი ბიჭი. მის სიტყვებში საოცარი სითბო იღვრებოდა, როდესაც თავის შვილებზე ლაპარაკობდა, განსაკუთრებით, კი ვაჟზე, რომელიც უკვე 7 წელია ამერიკაშია წასული და საქართველოს უკვე იშვიათად სტუმრობს. პატრიოტი მამისათვის კი ესოდენ საწყენია, როდესაც შვილი სამშობლოსგან ასე მოშორებითაა. წუხილი გამოთქვა ჩუმათელეთში საუკუნოვანი კოშკის ნგრევის გამო: „ჩვენი მისახედია ეს კოშკი, გასამაგრებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს და ეს ისტორიული ნაგებობა უნდა შევუნახოთ ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს."

ჩუმათელეთში თამარ მეფის ქუჩაზე ერთ ძალიან ლამაზ სახლს მივადეგით და ბატონი ბონდო სახლისკენ გაგვიძღვა. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისაღებ ოთახში ჩვენ წინ ნამდვილი ეთნოგრაფიული მუზეუმი გადაიშალა. გაოცებას ვერ ვმალავდით და თანაც გული სიხარულით გვევსებოდა, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, ყველაფერი ქართული ასე ძლიერ, რომ უყვართ, პატივს სცემენ და უფრთხილდებიან. სულ სხვა ეპოქაში აღმოვჩნდით. რას არ ნახავდით ოთახში: ფარები, ხანჯლები, ჯაჭვის პერანგი, მშვილდ-ისრები, შუბები, უძველესი ნივთები, საქონლის ტყავისგან შეკერილი ქალამნები, თითქმის ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი ქუდები, ღვინის განსხვავებული სასმისები-ფორმის, ზომის და დანიშნულების მიხედვით დალაგებული. ძველებური ქვით ნაშენ კედლებში ორი ონკანი იყო ჩაშენებული, საიდანაც თეთრი და შავი ღვინო მოდიოდა. მასპინძლების გულიდან წამოსული სითბო ბუხრიდან წამოსული სითბოსავით გვათბობდა. ბატონმა ბონდომ გიდობა ითავა და ეტაპობრივად ყველა ნივთს სათითაოდ გვაცნობდა, საოცრად ამაყობდა ჩადუნელების საგვარეულო გერბით, რომლისთვისაც საპატიო ადგილი მიეჩინა კედელზე. სამზარეულოში, ქალბატონი დოდო ფუსფუსებდა, ბატონი ბონდოს მეუღლე, რომელიც არანაკლები სითბოთი და სიხარულით შეგხვდა. მეუღლეების ჩინებულმა მასპინძლობამ ოჯახის წევრებად გვაგრძნობინა თავი, ჩვენც მკლავები ავიკაპიწეთ და დიასახლისს სამზარეულოში მივეხმრეთ. ათ წუთში ისეთი სუფრა გაიშალა, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა. ბუხარში ცვრიანი მწვადები შიშხინებდა, სახლში ეროვნული სული იგრძნობოდა, ტრადიციული სადღეგრძელოები კი ერთმანეთს ენაცვლებოდა. ძალიან იშვიათია ოჯახი, ასეთი მოსიყვარულე, შეხმატკბილებული და ქართული. ერთმანეთის პატივისცემით ნაშენები ჩადუნელების მყარი საძირკველი უფრო და უფრო მეტ შთამომავალს გაუზრდის სამშობლოს და ეროვნულ სულისკვეთებას და პატრიოტიზმს შთაუნერგავს მათ. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ძალიან ბედნიერები დავრჩით, რომ ჩადუნელები ასე უზადოთ იცავენ სტუმართმასპინძლობის ადათ-წესს და ყოველივე ქართულს ასე დიდ პატივს სცემენ.

წამოსვლისას მარანში შეგვიპატიჟა მასპინძელმა წლების მიხედვით დალაგებული ღვინოების კოლექცია დაგვათვალიერებინა. ახლადდაყენებული თეთრი ღვინის მაჭარი დაგვაგემოვნებინა. სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ.

ვბრუნდებოდი, უკან და ზღვა ემოციისგან გული მძაფრად გვიცემდა, ორმაგად გაგვიჩნდა სურვილი ასეთი ადამიანების გაცნობის შემდეგ, თქვენთვისაც მოგვეყოლა, იმ სკეპტიკოსთა საყურადღებოდ, ვისაც ჰგონია, რომ ასეთი ურთიერთობები გაცივდა და ქართველები ერთმანეთის მიმართ გავუცხოვდით. ამასთან, ვრწმუნდებოდით, რომ სანამ ასეთი ხალხი იარსებებს, ჩვენ, ქართველებს საფრთხე არ გვემუქრება, ეროვნულ თვითშეგნებას ვერანაირი ძალა ვერ შეარყევს.

თ. ხახიკაცი

განცხადება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25-ე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აცხადებს კონკურსს „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად ცოდნაში.

საკონკურსო კომისია გამოავლენს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გამარჯვებულებს.

I ადგილი _ 1000 ლარი; II ადგილი _ 800 ლარი; III ადგილი _ 500 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ახალციხე, რუსტაველის ქუჩა №106, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი №117, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი.

რეგისტრაციის ვადა: 2015 წლის 4 დეკემბრამდე.

კონკურსის დასკვნითი ეტაპი გაიმართება 2015 წლის 10 დეკემბერს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ , დაგვირეკოთ შემდეგ ნომერზე: 558 504846.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი.

ყურადღება!

პირველ საჯარო სკოლაში გაიხსნა საბავშვო თეატრალურ-ლიტერატურული სტუდია, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდები შეისწავლიან სასცენო მეტყველებასა და სასცენო მოძრაობას, ლიტერატურულ კომპოზიციებს. ხელმძღვანელი ეკა ბაქრაძე. თვეში 2-ჯერ, სპეციალური მოწვევით, მეცადინეობას გაუძღვება მხატვრული კითხვის ოსტატი, მსახიობი ედინო საღარაძე.

სწავლება ჩატარდება კვირაში 3-ჯერ. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 595-59-25-31.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.